

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 362
(ოქმი № 343)

თბილისი

2017 წლის 27 თებერვალი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2016 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ


"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2016 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე.

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ (2 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია



სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კობრეიძე




ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი



ირინა ფუტყარაძე

სულხან სალაძე



გიორგი ნიჟარაძე



ირაკლი პაპავა



განცხადება

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2016 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2016 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის ჩატარებაზე.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის ელექტრონული ფორმით), **2017 წლის 20 აპრილამდე**, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68).

მოთხოვნები

- აუდიტორული ფირმა დარეგისტრირებული უნდა იყოს აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში;
- აუდიტორულ ფირმას უნდა ყავდეს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებული აუდიტორი;
- აუდიტორულმა ფირმამ აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად;
- აუდიტორულ ფირმას უნდა ქონდეს მსხვილ კლიენტებთან (“ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები) მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში;
- გარე აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს **2017 წლის 10 მარტის 18.00 საათამდე**. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

- ა) აუდიტორული ფირმის შეთავაზებულ წინადადებებს;
- ბ) აუდიტორული ფირმის გამოცდილებას;
- ბ) მომსახურების საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2017 წლის 15 მარტამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

- სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს კონსულტანტს ფინანსურ საკითხებში გიორგი ნატროშვილს, მობ. ტელ. 577 777731.

გრიგოლ გოგელია
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის”
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

